ვაჟა– ფშაველას

წარმოთქმული ვაჟა– ფშაველას
საფლავთან
მთაწმინდაზე, დიდუბიდან ნეშთის
გადმოტანისას
1934 წ. 18 ოქტომბერს.

მთა იყავი, მთასთან მოხველ,
შეგრჩენია მუხლში ღონე,
თვალდათხრილო მეამბოხევ,
ხუნდებით რომ შეგაღონეს...

კვლავ შეჰხვდე სამშობლოს ცას,
მოუხადე კიდევ ქუდი;
შენი კუბო რომ ავხადეთ,
ამოვარდა არწივთ გუნდი!

მოგელოდნენ მთის ლოდები
ნაჟურებით დაჟანგული,
ბალახებით, ხის ტოტებით
გამთელდება ვაჟას გული

გადაჰხედე, შენი მთები,
თითქოს ვეფხვნი დაყრილანო,
ნავარდს არტყავს ორბის ფრთებით
შენი სიტყვა სამყვირალო.
ზვავის ღვართქაფს დაუბერტყავს,
ნაბუდია ჯიხვის რქაში,
შენი სიტყვა,
როგორც სეტყვა,
დროშის ზარი, წყლის კაშკაში –

იგი გვზრდიდა, როგორც წვიმა,
და მან მოგვცა მძვლიანობა,
ხის ფოთლებში გაგვაწვინა,
აკვნის თავზე გვიგალობა.

ხმას სჭექავდი მოკივლებით,
სამშობლო რომ გქონდა ციხედ.
შენ დაგმარხეს ბორკილებით,

ჩვენ დროშებით ამოგიღეთ!